

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჟ.ბ“ და „ს“ ქვეპუნქტებში მოცემულია ტერმინები „იმპორტიორი“ და „იმპორტი“, რაც კანონის კონტექსტიდან გამომდინარე იწვევს პროდუქციის იმპორტიორის მიერ საბაჟოზე დამატებით ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დეკლარაციის წარდგენის სავალდებულობას (კანონის მე-9 მუხლი), მაშინ როდესაც, იმავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ფაქტიურად ამ დეკლარაციის შევსების მიზანია არა საბაჟო პროცედურების გავლა, არამედ პროდუქციის უშუალოდ ბაზარზე სარეალიზაციოდ გატანის დროს მისი მონაცემების შესაბამისობის დადასტურება ტექნიკურ რეგლამენტთან. ზემოაღნიშნული ქვეპუნქტების დღეს მოქმედი რედაქცია კი ფაქტიურად დამატებით ბარიერს ქმნის პროდუქციის იმპორტის დროს (მითუმეტეს, რომ შეიძლება ეს იმპორტი არც იყოს ბაზარზე გასატანად გამიზნული), რაც მნიშვნელოვნად ართულებს საბაჟო პროცედურებს და არ შეესაბამება სახელმწიფოს ლიბერალურ პოლიტიკას ვაჭრობისა და ტექნიკური რეგულირების რეფორმის სფეროში იგივე უნდა ითქვას კანონის მე-5 მუხლის 5–7 პუნქტებზეც.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია საბაჟო პროცედურების გავლისას დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემების ფონზე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია, რისთვისაც საჭიროა „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჟ.ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა იმპორტიორის შეცვლა სიტყვებით „ბაზარზე გამომტანი“ და იმავე მუხლის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განმარტებიდან სიტყვა „იმპორტის“ ამოღება, რაც მოხსნის საბაჟოზე პროდუქციის შემოტანისას დღეისათვის არსებულ დამატებით დაბრკოლებებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს კანონის მე-5 მუხლის 5–7 პუნქტებშიც.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჟ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ს“ ქვეპუნქტის ახალ რედაქციას, კერძოდ კანონის მიზნებისათვის ტერმინი „მწარმოებელი“ საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციის ბაზარზე გატანის შემთხვევაში განიმარტება როგორც „საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქციის ბაზარზე გამომტანი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი“, ხოლო ტერმინი „ბაზარზე გატანა“ – „საქართველოს ბაზარზე პროდუქციის პირველადი განთავსება (ხელმისაწვდომად გახდომა) პროდუქციის გავრცელების ან გამოყენების მიზნით“, შესაბამისად, სათანადო ცვლილებები აისახება კანონის მე-5 მუხლის 5–7 პუნქტებშიც.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს სხვა პირთა მდგომარეობას

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მის განსაზღვრის წესს

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.**

კანონპროექტის შემუშავებაში კონსულტაციების სახით მონაწილეობა მიიღო საბაჟო დეპარტამენტმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

**დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.